

ასტრიდ ლინდგრენის კიდევ ერთი, ჩვენთვის უცნობი გმირი

ავტორი [მაკა ლდოკონენი](#)

შეგიძლიათ გაძლოთ იქ, სადაც არაფერია ლამაზი და სახალისო? თუ არა, მაშინ მშვენივრად გაუგებთ **მალინს** – რვა წლის გოგონას, რომლის შესახებაც ახალგაზრდა ასტრიდ ლინდგრენმა, რამდენიმე გვერდში უამბო პატარებს. მოთხრობას „უკრავს ჩემი ცაცხვი, მღერის ჩემი ბუღბუღი?“ ჰქვია და დარწმუნებული ვარ, დავგვიანების მიუხედავად სიხარულით მიიღებს ლინდგრენის ქართველი თაყვანისმცემელი.

დიდი ხნის წინ, „როცა ხალხი ძალიან ღარიბი იყო,“ შვედეთის ყველა სამრევლოში არსებობდა ლატაკთა თავშესაფარი, სადაც მოხუცები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, უპოვარნი, სნეულნი, საპყარნი და სანახევროდ შეშლილნი ცხოვრობდნენ. მალინის უცნაური თავგადასავალი კი იმ დღეს დაიწყო, როდესაც იგი სოფელ ნორკას ლატაკთა თავშესაფარის ბინადარი გახდა, როდესაც მას ხტუნვა-თამაში აუკრძალეს და ოთახის კუთხეში, იატაკზე მიუჩინეს ლოგინი (გოგონას მშობლები ჭლეტით დაეხოცა და ნორკელმა გლეხებმა გასამრჯელოს სანაცვლოდაც არ აიყვანეს მალინი – შიშობდნენ, ჭლექს გადაგვდებო).

ობოლი და გაჭირვებული გოგონა ერთი შეხედვით სტანდარტულ ზღაპრის პერსონაჟს წააგავს, სიძნელეების გადალახვის შემდეგ „პრინცესად გადაქცევა“ რომ უწერია. თუმცა... აჯობებს, მოვლენებს წინ არ გავესწროთ და ფეხაკრეფით გავყვეთ პატარა გმირს, რომელიც თავშესაფარის პარმალს გადააბიჯებს თუ არა, გულში სიმძიმეს იგრძნობს, ტირილი მოუნდება და გაიფიქრებს: „რა საწყალი ვარო...“

სიღუხჭირისა და უბადრუკობის ფონზე ასტრიდ ლინდგრენი თავშესაფარში მცხოვრებ დანარჩენ პერსონაჟებსაც გვაცნობს: სიმახინჯით განთქმულ სიფათას, იოკე-ბიჭს, რომლისთვისაც ღმერთს გონება წაურთმევია, მუდამ მშიერ იუღელ ულას, ხისფეხა ზაფხულ-ნისეს, ავთვალა ქათამ-ჰილას, პატარჯოხას, კეთილგულას, პერკელ-ანას და თავშესაფარის მმართველ, ვეებერთელა პომპადულას. ადამიანებს, რომელთა ერთადერთი თავშესაქცევი გზის ყურება გახლდათ – იმ უდიდამო გზისა, ერთ დღეს მათთან საოცარი მალინი შეუმჩნევლად რომ მიიყვანა.

შეგიძლიათ გაძლოთ იქ, სადაც არაფერია ლამაზი და სახალისო? თუ არა, ალბათ უკვე მშვენივრად გესმით მალინის. გესმით და მისი ისტორიის ზღაპრული გაგრძელების სურვილიც არ გასვენებთ. არც ლინდგრენია თავისი გმირის მიმართ გულგრილი და აი, მის მოთხრობაში „ერთი მშვენიერი დღე დგება,“ როდესაც მრევლში სამათხოვროდ მოხეტიალე მალინი და პომპადულა მღვდლის კარ-მიდამოს მიაღებიათ. იქ, ფაფის საჭმელად მაგიდასთან შემოსკუპებული გოგონას ცხოვრებაში რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი მოხდება. გვერდითა ოთახის შეღებული კარიდან მალინი ისეთ ლამაზ სიტყვებს მოისმენს, რომლებიც მის გულს ნუგეშით აავსებს და არასოდეს აღარ დაივიწყებს...

„უკრავს ჩემი ცაცხვი,

მღერის ჩემი ბუღბუღი?“

ამ სიტყვების ელვარებაში თანდათან უჩინარდება თავშესაფარის სიდუხჭირე და უბადრუკობა, იფარება ოხვრა, კვნესა, შიმშილი და შიში. რატომ? გოგონა ამას ვერ ხვდება, „მაგრამ მომხდარი მისთვის ზეციურ სასწაულს უდრის...“ დროთა განმავლობაში მალინს ნატვრად ექცევა ცაცხვი, რომელიც უკრავს და ბუღბუღი, რომელიც მღერის (სწორედ ისეთები, დედოფალს რომ ჰქონდა მღვდლის სამზარეულოდან მოსმენილ ზღაპარში). სურვილი მოსვენებას არ აძლევს. დარწმუნებულია, რომ მომღერალი ცაცხვისა და ბუღბუღის არსებობა ნორკას ღარიბთა თავშესაფარს სილამაზითა და ხალისით აავსებს, მის ბინადრებს კი იმედს, კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას მოუტანს.

ის მშვენიერი დღეც დადგება, მალინი კარტოფილის კვლებში შიშველი ხელებით ორმოს რომ ამოთხრის და იქ „ცაცხვის თესლს“ ჩააგდებს, მაგრამ... რა აღმოცენდება ზაფხულ-ნისეს გახეული ქისიდან გადმოვარდნილი პატარა მოყვითალო-მომრგვალო მარცვლიდან?.. რის ფასად უწერია ცაცხვს დაკვრა და ბუღბუღს ამღერება?.. ამ კითხვებზე პასუხს მას შემდეგ მიიღებთ, მოთხრობას რომ წაიკითხავთ.

მსოფლიოში ცნობილი საბავშვო წიგნების ავტორი, კარლსონის, პეპი გრძელწინდას, მაღიკენის, კალე ბლუმკვისტისა და სხვა უამრავი გმირის გამომგონებელი ამჯერად განსხვავებულ ამბლუაში გვევლინება. მისი მოთხრობა მწვავე პრობლემებს ეხება და ადამიანური ტკივილითაა სავსე. თითოეული დეტალი ისეთი სიმძაფრიდაა გადმოცემული, რომ ზოგჯერ გვგონია, ნორკას თავშესაფარის დაბზარულ კედლებზე გუნდ-გუნდად მიმომავალი რწყილები ჩვენს კანზეც დადიან და იქაურ ბინადრებთან ერთად ჩვენც გვისინჯავენ გემოს. თითქოს საწოლების ქვეშ მათხოვრობით მოპოვებული, ფუთებში გამოკრული ნივთები ჩვენგან ერთი ხელის გაწვდენაზეა მიმობნეული. პერსონაჟებთან ერთად ჩვენც სულმოუთქმელად ველოდებით სასწაულს და იმასაც ტკივილით ვიაზრებთ, რომ ზოგჯერ კარტოფილის მოსავალი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშვენიერი ცაცხვის აღმოცენება. რომ შესაძლოა, სანუკვარი სურვილის ასასრულებლად სული გაიმეტო, მაგრამ მსხვერპლი არავინ არაფრად ჩაგიგდოს.

ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობამ გარკვეული თვალსაზრისით ოსკარ უაილდის „ბუღბუღი და ვარდი“ მომაგონა, იმედი მაქვს, ამ ორ ამბავს შორის თქვენც გაავლებთ საინტერესო პარალელებს. გაავლებთ და დარწმუნდებით, რომ სასწაულის მოხდენა მხოლოდ მას ხელეწიფება, ვინც ვერასოდეს გაძლებს იქ, სადაც არ ეგულება სიყვარული, სადაც არაფერია ლამაზი და სახალისო...

„უკრავს ჩემი ცაცხვი, მღერის ჩემი ბუღბუღი?“ ქართველი მკითხველისთვის ბაკურ სულაკაურმა თარგმნა, ქარჩხაძის გამომცემლობამ კი საბავშვო მოთხრობების ანთოლოგიის სერიით გამოსცა (ტომში „მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია“). ამ არაორდინალური მოთხრობის დებიუტი შესაძლოა არც ისე ხმაურიანად შედგა, როგორც ამას ასტრიდ ლინდგრენი იმსახურებდა. შესაძლოა, ჯერაც არაფერი გსმენიათ მის შესახებ (ისევე გამოგეპარათ, როგორც „უღიმღამო გზით“ ლატაკთა თავშესაფარში მიმავალი მალინის ზღაპრულობა ვერ შენიშნეს თანასოფლელებმა). თუმცა... არც

ნორკაში მომხდარა ნამდვილი სასწაული ხანგრძლივი ლოდინის გარეშე და წინ კარგი მოთხრობის წაკითხვა გელით!